# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

## დაბა ქედა


განკარგულება:**g-95.95221194**

თარიღი:**29/04/2022**


**ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედის ტერიტორიის განაშენიანების გეგმის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების დავალების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედის ტერიტორიის განაშენიანების გეგმის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების დავალება, თანახმად დანართი №1-სა.

2.დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3.მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედის ტერიტორიის განაშენიანების გეგმის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების დავალებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - ზაზა დავითაძემ.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი